

No	შენიშვნა	პასუხი
1	მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მესტიაქალა 1 ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოს დაცვის პირობებში ცვლილების შეტანის ანგარიშის მატერიალური და ელექტრონული ვერსიები არ ემთხვევა ერთმანეთს. ამასთან, აღმინისტრაციული წარმოება სააგენტოში მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე შესაბამისად, „Final report on field research and geohazard assessment 2020“ წარმოდგენილ უნდა იყოს ქართულ ენაზე;	კოსორციემის ანგარიში მოწოდებულია ქართულ ენაზე.
2	დოკუმენტაციის თანახმად, ძველი წყალმიმღების აღდგენა და შემდგომი ექსპლუატაცია მიზანშეწონილი არ არის. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, გამოკვლეულ ზონაში წარმოდგენილია სხვადასხვა გეოლოგიური რისკ-ფაქტორები და რისკის დონე მაღალია. შერბილების და შესაბამისად ჰესის რეაბილიტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობა დამოკიდებულია რისკის შეფასებაზე და საბოლოოდ რისკის მიღებაზე, ინვესტორების და ორგანიზაციების მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებით, რომ შესაძლებელია ახალი სათავე ნაგებობისა და მილსადენის მშენებლობა და ექსპლუატაცია არ იწვევს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე საბაზო პროექტთან მიმართებაში, მაგრამ არის მეორე პრობლემური საკითხი - ეს არის საკუთრივ ბუნებრივი გარემოს ზემოქმედება ჰესის ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს, რისი მაგალითიც 2019 წელს იყო. გაცნობებით, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია სააგენტოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის შეცვლის მოთხოვნით, თუ დაასაბუთებს, რომ ამ პირობის შესრულება ვერ უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილებას ან შემცირებას ან/და ამ პირობის სხვა პირობით შეცვლა აუცილებელი და ეფექტიანია გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილების ან შემცირების თვალსაზრისით. შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის შეცვლის მოთხოვნით, აუცილებელია წარმოდგენილ იქნას შესაბამისი დასაბუთება კოდექსის მე-5 მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლის შესაბამისად. ასევე, დოკუმენტაციაში უნდა მიეთითოს იმ პირობების შესახებ ინფორმაცია, რომლის შეცვლის მიზნითაც წარმოდგენილია დოკუმენტაცია. ამასთან, დოკუმენტში მითითებულია „ცხრილი 4.1.“ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული კრიტერიუმები, რაც წარმოადგენს სკრინინგის პროცედურის კრიტერიუმებს;	4.1 თავი ამორბებულია დოკუმენტადან
3	წარმოდგენილ უნდა იქნეს სათავე ნაგებობების საერთო სამშენებლო ნაწარმები და განმარტებითი ბარათი. აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვის გარეშე შეუძლებელია შეფასება მიეცეს შემოთავაზებული ნაგებობების შემადგენლობისა და კონსტრუქციების შესაბამისობას გარემოსდაცვით მოთხოვნებთან, საიმედოობისა და უსაფრთხოების კუთხით;	სამშენებლო ნაწარმები და განმარტებითი ბარათი გვაქვს და წარვადგენთ.
4	არსებული პროექტით, გათვალისწინებული იყო საფუძვრებიანი თევზსავალი, რაც არ არის მოცემული დოკუმენტში, გაცნობებით, რომ კოდექსის მე-5 მუხლის მე-8 ნაწილი გულისხმობს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის შეცვლას, თუ საქმიანობის განმახორციელებელი დასაბუთებს, რომ ამ პირობის შესრულება ვერ უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილებას ან/და აღნიშნული პირობის სხვა პირობით შეცვლა გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილებისთვის ან შემცირებისთვის აუცილებელი და ეფექტიანია. რაც არ ღვინდება წარმოდგენილი ინფორმაციით, მიუხედავად განვითარებული მეწყრული მოვლენებისა და აქედან გამომდინარე თევზებისათვის უარყოფითი საბინადრო გარემო პირობების ჩამოყალიბებისა, სათავე ნაგებობაზე გათვალისწინებული უნდა იყოს თევზსავალი, ვინაიდან სიტუაციის სტაბილიზაციის შემთხვევაში, კალმახი ისევ დაიწყებს ანადრომულ მიგრაციას მდინარის ამ მონაკვეთში. ამასთან, სათავე ნაგებობის მოწყობიდან მინიმუმ 5 წლის განმავლობაში წარმოებულ უნდა იქნას იქითოლოგიური მონიტორინგი თევზსავალის ეფექტურობისა და თევზის რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებით, ხოლო სათავე ნაგებობა აღჭურვილი უნდა იქნას ეფექტური თევზამრიდი ნაგებობით;	თევზსავალზე ინფორმაცია დამატებულია დოკუმენტში.

5	<p>დოკუმენტაციის თანახმად, გადაწყვეტილების პირობის შესაბამისად ყოველწლიურად ხდება მდ. მესტიაჭალაში 50 000 ცალი ლიფსიტას ჩაშვება. მიზანშეწონილია, დათევზიანების დონისძიებები წარმოებული იქნას კალმახის ქვირითით თვალედის სტადიაზე, ხოლო ადგილი შერჩეული იქნას აღნიშნული ადგილმდებარეობის ქვემოთ, მდინარე ენგურის საკალმახე შენაკადებში, რომლებშიც არის კარგი ჰიდროლოგიური პირობები ლიფსიტის გაზრდისათვის;</p>	<p>მესტიაჭალა 1 და მესტიაჭალა 2 ჰესების გავლენს ზონაში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, არს გზმ-ს ფაზაზე ჩატარებული კვლევების და არც შემდგომ მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდებში მონიტორინგული კვლევების პერიოდში თევზის არსებობა დადასტურებული არ ყოფილა. ყველა კვლევის დროს ნაკალმახის კალმახის მოპოვება შესაძლებელი იყო მესტიაჭალა 2 ჰესის სათავე ნაგებობის ქვედა დინებაში არსებულ შენაკადებში და მათი შესართავების არეალში. გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, შენიშვნა მართებულია ხელოვნური დათევზიანება უნდა მოხდეს არა მესტიაჭალა 1 ჰესის გავლენის ზონაში, არამედ ქვედა დინებაში არსებულ შენაკადებში და მდ. ენგურის საკალმახე შენაკადებში. ხელოვნური დათევზიანების ეფექტურად განხორციელების და სასურველი შედეგების მიღების მიზნით, საჭირო იქნება დათევზიანების გეგმის მომზადება, რისთვისაც საჭიროა საკალმახე შენაკადების შერჩევა და ამ შენაკადებზე დათევზიანებისათვის ხელსაყრელი მონაკვეთების იდენტიფიცირება, რაც საჭიროებს დეტალური დამატებითი კვლევების ჩატარებას. კომპანია იღებს ვალდებულებას, მესტიაჭალა 1 ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებამდე, უზრუნველყოს შესაბამისი კვლევების ჩატარება და ხელოვნური დათევზიანების გეგმის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება.</p>
6	<p>შემოთავაზებული ადრეული გაფრთხილება/მონიტორინგის სისტემის ეფექტურობის შეფასების მიზნით, სისტემის კონცეფცია საჭიროებს მინიგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებას, რათა შეირჩეს უსაფრთხო ლოკაციები აღამიანთა ევაკუაციისთვის, ევაკუაციისთვის საჭირო დრო სტიქიის მოხდენის დროზე ნაკლები უნდა იყოს, რისთვისაც საჭიროა სიტუაციური ნახაზების მომზადება და რეაგირების გეგმის შემუშავება. შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილ იქნას როგორც სააგენტოში, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში;</p>	<p>მოცემული ინფორმაცია უკვე წარდგენილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურშიც. დამატებით გიგზავნით ხელშეკრულებას და რამდენიმე დღეში მოგაწვდით შეთანხმების დოკუმენტს. არსებული დოკუმენტი განიხილეს ექსპერტებმა ობიექტზე.</p>
7	<p>წყალდიდობა-წყალმოვარდნებისა და ღვარცოფული ნაკადების მოდელირების შესახებ, საჭიროა წარმოდგენილ იქნას უფრო დეტალური ინფორმაცია. ვინაიდან, მითითებულია, რომ ეს საკითხი წარმოდგენილია „დანართი 5“, თუმცა „დანართი 5“ ეხება საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას;</p>	<p>ჩამატებულია</p>
8	<p>დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო კვებში წყლის მაქსიმალური ხარჯების/ღვარცოფული ხარჯების რა სიდიდეებზეა საუბარი, ასევე მოხდა თუ არა ამ სიდიდეების გათვლა საქართველოში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად და შედარდა თუ არა საერთაშორისოს;</p>	<p>ადრეული შეტყობინების გაფრთხილების დოკუმენტში მითითებულია მაქსიმალური ღვარცოფული ხარჯების სამშენებლო ობიექტზე მოდინების დრო და ამის საფუძველზე წინასწარი საევაკუაციო გეგმა და შეკრების ადგილზე გადაადგილების დროები.</p>
9	<p>მდინარის სეზონურ ადიდებასთან მიმართებაში საჭიროა უფრო მეტი კონკრეტული დონეებისა და სიჩქარეების შესახებ, კონკრეტული ციფრების მითითებით;</p>	<p>აღნიშნული დონეებისა და სიჩქარის კონტროლი მოხდება ადრეული შეტყობინების in-situ პროგრამის მიერ.</p>
10	<p>3.2.6.2.2.1. ცხრილი უფრო ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი. მაგ: (მე-5 სვეტში) მოვლენის მოდელირების კონკრეტული შედეგები/მარკინგებლებში ღვარცოფული ნაკადი რატომ არის მოდელირების გარეშე;</p>	<p>ჩამატებულია</p>
11	<p>მდ. მურყვამის „აუზში პოტენციურ საფრთხეს ქმნის მოვლენის ხელახალი აქტივიზაციის მხრივ, თუმცა კონსორციუმის კვლევის შედეგების მიხედვით, ასეთი მასშტაბის საფრთხე მოსალოდნელი არ არის“, აღნიშნავენ ავტორები, თუმცა არ არის მითითებული მასშტაბის საფრთხე წარმოქმნილთან მიმართებაში (ნახევარი,მესამედი). ამასთან, ახალი სათავე ნაგებობა შენდება ახლოს გამოზიდვის კონუსთან და თვით გამოზიდვის კონუსმა (განტვირთვის ზონამ) ფაქტობრივად შექმნა ახალი კალაპოტი. იგივე ცხრილის მიხედვით, მურყვამიდან დანალექი მასალის რეზობილიზაციისა და ქანების ჩამოშლის დროს დალექვის სიმაღლე 4 მ-ია, ლეზირის ხეობიდან წყალმოვარდნის დროს დალექვის სიმაღლე 3-3,5მ. ორივე მოვლენის დამთხვევის შემთხვევაში დალექვის სიმაღლე 7-7,5 მ-ია და დაზუსტებას და დეტალიზებას საჭიროებს, კალაპოტის ასეთი აწევა მიაღწევს თუ არა სათავე ნაგებობამდე.</p>	<p>აღნიშნული ინფორმაცია ამოღებულია</p>

12	წყალმიმღები 1-ის ახალ დაგეგმილ პოზიციაზე „ლესზირის ხეობიდან კატასტროფული წყალმოვარდნის რისკი შეფასებულია როგორც 30 წელიწადში 1 მოვლენის ალბათობა, ხოლო ღვარცოფული ნაკადის მოცულობამ შეიძლება შეადგინოს ასი ათასი მ3. დაზუსტებას საჭიროებს, რატომ არის ალბათობა 30 წელიწადში 1 მოვლენა, და არა 100 წელიწადში ერთხელ, ანუ ნაცვლად 1%-ინი განმეორებადობისა არის 3%.	კონსორციუმმა გამოიყენა რისკების შეფასების მატრიცა, რომელიც გამოიყენება ავსტრიაში და განისაზღვრება სტანდარტით ONR 24810. მონაცემები 30 წლიანი ინტერვალს განიხილავს, რადგან უმეტეს შემთხვევაში მონაცემები წინა მოვლენების შესახებ არ არსებობს 100 წლის განმავლობაში. უფრო მეტიც, ინფრასტრუქტურის უმეტესობისთვის 30 წლიანი პერიოდი აქტუალურია. ასევე ჰესისთვის ხანგრძლივობა დაახლოებით 25 წელია.
13	დოკუმენტაციის თანახმად, ეკოლოგიური ხარჯი (გვ. 61) შეადგენს 0,6 მ3/წმ-ს და მისი შემცირება დაგეგმილი არ არის. თავდაპირველ ვარიანტში (2016 წელი) წარმოდგენილ გზმ-ის ანგარიშში ეკოლოგიურ ხარჯად აღებულია ავსტრიაში მიღებული მეთოდოლოგია და შეადგინა 0,43 მ3/წმ-ში, თუმცა N40 დასკვნის მე-2 პირობის მე-2 პუნქტის თანახმად, კომპანიას დაევალა ეკოლოგიური ხარჯის გადაანგარიშება წყალაღების გასწორში საშუალო მრავალწლიური ხარჯის (ნორმის) 10%-ის მიხედვით და ჰესის ექსპლუატაცია წარმოდგენილი ინფორმაციის შემდგომ სამინისტროს მიერ დადგენილი ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისად. საქართველოში გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად ეკოლოგიური ხარჯი უნდა იყოს საშუალო მრავალწლიური ხარჯის (7,93 მ3/წმ) 10 პროცენტი. ამასთან ეკოლოგიურ ხარჯს უნდა უნდა დაემატოს მდ. მურყვანის ხარჯი. ამ საკითხთან მიმართებაში საჭიროა დამატებითი ინფორმაცია;	ეკოლოგიური ხარჯი ყოველი თვის განმავლობაში შეადგენს 0.6 მ3/წმ.
14	მესტიაქალა 1 ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გდპ-ს ცვლილების ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი გამოყენებული კვლევის მონაცემები, რომელიც ეხება ყველაზე მნიშვნელოვან გეოლოგიურ საფრთხეებს - ეგზოდინამიურ მოვლენებს, ემყარება BBB-TRUMER-BOKU-CRP კონსორციუმის მიერ 2020 წელს შესრულებული შუალედური ანგარიშის მონაცემებს. გდპ-ს ცვლილების ანგარიშის გეოლოგიური საფრთხეების შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი მიზანშეწონილია ემყარებოდეს კვლევების საბოლოო ანგარიშს;	საბოლოო კონსორციუმის ანგარიში მიმაგრებულია და მას ემყარება აღნიშნული გეოლოგიური საფრთხეების შეფასება
15	მყინვარული და კლიმატური საფრთხეების შესახებ ინფორმაცია მოყვანილია სეისმური სამომროების თავის ქვეთავში - რეგიონის ტექტონიკა;	გასწორებულია
16	საქართველოს აქტიური რღვევების მოყვანილი რუკა (გამყრელიძე და სხვ. 1998) ძალიან მსხვილმასშტაბიანია, რეკომენდებულია უფრო წვრილმასშტაბიანი ტექტონიკური ან სტრუქტურული რუკის/სქემის გამოყენება;	წვრილმასშტაბიანი რუკა დამატებულია
17	ვინაიდან, მდ. მესტიაქალის ხეობა ხასიათდება კომპლექსური ბუნებრივი საფრთხეებით, აუცილებელია ჰესის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში გეოდინამიკური პროცესების პერიოდული ვიზუალური მონიტორინგი და ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის მოწყობა და მისი ეფექტური ფუნქციონირება;	აღნიშნული დამატებულია და ასევე ახალი აღწერილი შეტყობინების დოკუმენტიც გადმოგზავნილია

18	<p>წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებულია, რომ მშენებლობის დაწყებამდე საჭირო იქნება 120 ძირი ხის მოჭრა, თუმცა არ არის მოცემული ტაქსაციის მონაცემები. ასევე ფაუნის ნაწილში მოცემულია ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული წითელი ნუსხის ფაუნის წარმომადგენლების შესახებ, თუმცა არ ჩანს კვლევის მასალები და პერიოდი.</p>	<p>როგორც დოკუმენტშია მოცემული, მესტიაჭალა 1 ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილებების მოხდევით დაგეგმილი ახალი წყალმიმღების განთავსების კვეთში წარმოდგენილია მცენარეთა ხუთი სახეობა (ლიტვიწილის არყი - <i>Betula litwinowii</i>, მთრთოლაკი ვერხვი - <i>Populus tremula</i>, მდგნალი - <i>Salix caprea</i>, აღმოსავლური ნაძვი - <i>Picea orientalis</i> და თხილი - <i>Corylus avellana</i>.), რომელთაგან არ ერთი ეგზემპლარი არის დიაგნოზირებული არ აღემატება 8 სმ-ს. გამომდინარე აღნიშნულიდან კვლევის პროცესში ტაქსაციის ჩატარება არ ჩაითვალა საჭიროდ. რაც შეეხება ფაუნის სახეობების კვლევას, საველე სამუშაოები ჩატარებული 2022 წლის მაისის ბოლოს და როგორც კვლევის პროცესში დადგინდა ახალი სათავე ნაგებობის და მიმდებარე მილსადენის საპროექტო დერეფნებში ცხოველთა საბინადრო ადგილები დაფიქსირებული არ ყოფილა, რაც დაკავშირებულია 2019 წელში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგებთან, კერძოდ: საპროექტო დერეფნის თითქმის მთელი ტერიტორია დაფარულია დეარცოფული და შესაბამისად ცხოველთა სახეობებისათვის საბინადროდ ხელსაყრელი არ არის.</p> <p>წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია საპროექტო არეალში (მდ. მესტიაჭალას ხეობაში) მობინადრე საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების შესახებ. ამასთანავე აღნიშნულია, რომ განვითარებული დეარცოფული პროცესების ზეგავლენით, საპროექტო მილსადენის დერეფანში ბუნებრივი ჰაბიტატები პრაქტიკულად აღარ არსებობს, ხოლო ახალი წყალმიმღების მოწყობა მოხდება მდინარის კალაპოტში და შესაბამისად ცხოველთა ხმელეთის სახეობების საბინადრო ადგილების განადგურების რისკი მინიმალურია.</p>
19	ფოტოსურათებზე მითითებული უნდა იქნეს მათი გადაღების პერიოდი (თარიღი).	დამატებულია